


სამთო ტურიზმის განვითარების პერსპექტივები საქართველოში



ტივაძე ანა

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე ტურიზმში ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

სამეცნიერო ხელმძღვანელი : გიორგი ქემერტელიძე, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2021

აბსტრაქტი

წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომში განხილულია საქართველოს სამთო ტურიზმის და, აქედან გამომდინარე, მთიანი კურორტების განვითარების პერსპექტივები. ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია, ზოგადად, მთიან ტურიზმზე, მთიანი კურორტების არსზე, მათ მიზნობრივ დანიშნულებაზე, ბუნებრივ და ტურისტულ პოტენციალზე, არსებულ პრობლემებსა და მათი გადაჭრის გზებზე. აქვე მოცემულია საქართველოში ტურიზმის განვითარების ძირითადი ტენდენციები.

თანამედროვე ტურიზმის განვითარების ფაქტორების განხილვისას, მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ ის მაკომპენსირებელი მოვლენაა თანამედროვე ცხოვრებასთან მიმართებით. აქედან გამომდინარე, ტურიზმის წარმოშობისა და განვითარების მიზეზები უნდა ვეძებოთ ადამიანის სურვილში - თავი დააღწიოს ყოველდღიურობას და იმ გარემოს, რომელშიც მას უხდება ცხოვრება. ტურიზმის განვითარების სტიმულატორად გვევლინება მოთხოვნილებები, რომლებიც ეკონომიკაში მომსახურებასა და რესურსების მოთხოვნების წარმოშობაში დიდ როლს თამაშობენ, ვინაიდან რაც დრო გადის, ადამიანის მოთხოვნილებები მეტად განიცდის ცვლილებებს.

რაც შეეხება ტურიზმის სახეებს, საყოველთაოდ ცნობილია, რომ სამთო ტურიზმზე მოთხოვნილება შეიძლება გახორციელდეს გარკვეული ფაქტორების ზეგავლენით, რომლებიც ხელს შეუწყობენ მის ორგანიზებასა და სტიმულირებას. რაც შეეხება იმას, თუ როგორ და რა გზებით უნდა განვითარდეს კონკრეტულად სამთო ტურიზმი, ამას დაწვრილებით შევხებით თითოეულ თავში. ყურადღება გამახვილებული იქნება იმაზე, თუ რა ღონისძიებები უნდა გაატაროს საქართველომ, რომ მისი ტურისტული პოტენციალი უქმად არ დაიკარგოს.

ნაშრომი მოიცავს სარჩევს, ანოტაციას, შესავალს, ძირითად თემას (რომელიც დაყოფილია თავებად და ქვეთავებად), კვლევას, კვლევის ანალიზს, დასკვნასა და ბიბლიოგრაფიას.

საკვანძო სიტყვები: სამთო ტურიზმი, სამთო კურორტები, საქართველო.

Abstract

This thesis discusses prospects for development of mountain tourism and, therefore, mountain resorts in Georgia. The article focuses on mountain tourism in general, the essence of mountain resorts, their intended purpose, natural and tourist potential of mountain resorts, existing challenges and ways to overcome them. It also shows the major Tourism development trends in Georgia.

When discussing factors of modern tourism development, we must take into account that this is a compensating event in relation to modern life. Therefore, reasons for the origin and development of tourism should be sought in the human desire to get rid of everyday life and the environment in which he or she has to live. Demands that play a large role in the emergence of needs for services and resources in the economy appear as a stimulant to the development because as time goes on human demands are increasingly undergoing changes.

As for the types of tourism, it is a well-known fact that the demand of mountain tourism can be met by the influence of certain factors. In regard to how and in what ways mountain tourism in particular should be developed, this issue will be discussed in more detail in each chapter. The main focus will be on what measures should Georgia take so that its tourism potential is not in vain.

The work includes a table of contents, abstract, introduction, main topic (divided into chapters and subsections), research, research analysis, conclusion and bibliography.

Key words: Mountain tourism, Mountain resorts, Georgia